

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

31 მაისი 2007 წელი

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**  
ქ. თბილისი, არაყიშვილისი I ჩიხი №9

**სხდომის დაწყების დრო: 19:30სთ.**

**სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:**  
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი, ზაზა ხატიაშვილი. როინ მიგრიაული

**სხდომის თავმჯდომარე:** კახაბერ ასლანიშვილი

**დღის წესრიგი:**

1. საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არჩევა;
2. ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელთა გამგზავრება ისრაელში;
3. ჯგუფის შექმნა, რომლის მეშვეობითაც 1 თვის განმავლობაში განხორციელდება მონიტორინგი სასამართლოებზე;
4. ადვოკატთა საწევრო შენატანის მიმართ დამატებითი საშეღავათო კრიტერიუმების განსაზღვრა;
5. ადვოკატთა დაბეგვრასთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი და საგადასახადო შეღავათების დაწესებისთვის გასატარებელი ღონისძიებები.
6. ტესტირების გადასახდელის უკან დაბრუნების დაუშვებლობის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უკან დაბრუნების მოთხოვნა წერილობით განხორციელდება ტესტირების პირველ დღემდე არაუგვიანეს ერთი თვისა);
7. სხვა მიმდინარე საკითხები: კომენტარი ეთიკის კომისიის წევრის, გიორგი ტურაზაშვილის ღია წერილზე.

ადმასრულებელი საბჭოს სხდომა გახსნა თავმჯდომარემ დღის წესრიგის პირველი საკითხით. საკვალიფიკაციო კომისიის სავარაუდო კანდიდატების სხდომაზე წარმოდგენილი სია შეფასდა დადებითად.

ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელთა გამგზავრება ისრაელში დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად შეფასდა დადებითად;

სასამართლოებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნის საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის;

დადგენილ იქნა დამატებითი შეღავათი – დევნილებზე, ომის ვეტერანებზე. ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, შეღავათით მოსარგებლე პირის განცხადების მიხედვით;

ადვოკატთა დაბეგვრის საკითხი გადაიდო შემდეგ სხდომაზე განსახილველად;

ეთიკის კომისიის წევრის, გოგა ტურაზაშვილის ღია წერილზე კომენტარი გადაიდო შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

## გ ა დ ა წ ყ დ ა :

ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცება შემდეგი შემადგენლობით:

- როინ მიგრიაული;
- იური გაბისონია;
- მზია თოდუა;
- მაკა სალხინაშვილი;
- კახაბერ ასლანიშვილი;
- მანანა კობახიძე;
- ხათუნა ჭითანავა;
- არჩილ ჩოფიკაშვილი;
- ავთანდილ დემეტრაშვილი.

ტესტირების გადასახადის უკან დაბრუნება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადების ავტორი ასოციაციას მიმართავს ტესტირებაში მონაწილეობის შესახებ განაცხადის შევსებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:  
კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზ. ტაბიძე, დ. ასათიანი, ზ. ხატიაშვილი.  
რ. მიგრიაული

კახაბერ ასლანიშვილი  
თავმჯდომარე